ხელშეკრულება
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ № 5/3504/23

„3“ „მაისი“ 2012 წ.

თბილისი

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები
ერთი მხრივ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, ს/კ №211333957 (თბილისი, 0119, წერეთლის გამზ. №144; საბანკო რეკვიზიტები: სახელმწიფო ხაზინა, ბ/კ №TRESGE22; ა/ა №200122900) მინისტრის პირველი მოადგილის ირაკლი გიორგობიანის სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორე მხრივ შპს „ირაო არტ“ ს/კ №204536010, (მის: თბილისი, სანაპიროს №4. საბანკო რეკვიზიტები: ს/ს „ბანკი რესპუბლიკა“, ბ/კ №220101757; ა/ა№10228891515) მისი დირექტორის შალვა ჩიტიშვილის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“).

2. ხელშეკრულების საგანი
2.1. შემსყიდველმა განახორციელა გამარტივებული შესყიდვა, საქართველოს მთავრობის 2012 წლის 28 მარტის №115 დადგენილების შესაბამისად – „საქართველოს 2012 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ფსიქიატრიული დაწესებულებების სამშენებლო, სარეაბილიტაციო/სარეკონსტრუქციო და აღჭურვის სამუშაოებისათვის საპროექტო-სახარჯთაღიცხვო (მათ შორის, გეოლოგიური კვლევები) დოკუმენტაციის მომზადების შესყიდვაზე (CPV კოდი 71300000 – საინჟინრო მომსახურება), რაზედაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება მიაწოდოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული დოკუმენტაცია 169 000,00 (ას სამოცდაცხრა ათასი) ლარად დამატებითი ღირებულების გადასახადის ჩათვლით. (შემდგომში „ხელშეკრულების ღირებულება“).

3. შესყიდვის ობიექტის მახასიათებლები
3.1. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემების მიხედვით საპროექტო ობიექტები მდებარეობს შემდეგ მისამართებზე:
3.1.1. ქ. ლანჩხუთი, მუსხელიშვილის ქ. №15 (საკადასტრო კოდი - 27 06 57 020);
3.1.2. ქ. სენაკი, ფურცელაძის ჩიხი I, №8 (საკადასტრო კოდი - 44 01 25 018);
3.1.3. ქ. თელავი (საკადასტრო კოდი - 53 20 31 269);
3.2. საპროექტო ფართი განისაზღვრა შემსყიდველის მიერ, რომლის მიხედვითაც სარეკონსტრუქციო შენობების სრული საორიენტაციო ფართია 6100 მ² (აქედან: ქ. ლანჩხუთის ობიექტი – 2300 მ², ქ. თელავის ობიექტი – 2000 მ² და ქ. სენაკის ობიექტი – 1800 მ²). შენობების მიმდებარე მიწის ნაკვეთების კეთილმოწყობის სრული საორიენტაციო ფართია 11285 მ² (აქედან ქ. ლანჩხუთის ობიექტი 4560 მ², ქ. თელავის ობიექტი 3800მ² და ქ. სენაკის ობიექტი 2925მ²).
3.3. სულ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საპროექტო ფართია 17385 მ².
3.4. „მიმწოდებელის“ მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტაციის მომზადება შესრულდება 3.1. პუქტში მითითებულ ობიექტებზე დანართ №1-ით განსაზღვრული ჩამონათვლის შესაბამისად.

4. მომსახურების გაწევის ვადები
4.1. „მიმწოდებელი“ განახორციელებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მომსახურებას ეტაპობრივად, გეგმა-გრაფიკის შესაბამისად (დანართი 2);
4.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების დასრულების ვადა განისაზღვრება დანართი №2-ის (გეგმა-გრაფიკი) შესაბამისად.

5. ხელშეკრულების ღირებულება, ანგარიშსწორების პირობები
5.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 169 000,00 (ას სამოცდაცხრა ათასი) ლარს.
5.2. შემსრულებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში, უნაღდო ანგარიშსწორებით.
5.3. გაწეულ მომსახურებაზე ანგარიშსწორება ხორციელდება ხუთ ეტაპად (დანართი №2), შესაბამის ეტაპზე განხორციელებული მიღება-ჩაბარების აქტზე უფლებამოსილ პირთა ხელმოწერის შემდეგ.
5.3.1. I ეტაპით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს 35000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.
5.3.2. II ეტაპით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს 60000 (სამოცი ათასი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.
5.3.3. III ეტაპით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს 38000 (ოცდათვრამეტი ათასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.
5.3.4. IV ეტაპით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს 18000 (თვრამეტი ათასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.
5.3.5. V ეტაპით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულება შეადგენს 18000 (თვრამეტი ათასი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.
5.4. მომსახურების თითოეულ ეტაპზე ანგარიშსწორება განხორციელდება მას შემდეგ, რაც დასრულდება წინამდებარე ხელშეკრულების მე-15 პუნქტით გათვალისწინებული ღონისძიებები, 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

6. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

6.1. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარება განხორციელდება ეტაპობრივად, გაწეული მომსახურების შესაბამისად.

6.2. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, რომელსაც ხელს აწერენ შემსყიდველისა და მიმწოდებლის მიერ უფლებამოსილი წარმომადგენლები.

6.3. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარებისთვის მიმწოდებელმა სრულად უნდა წარმოადგინოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული რეაბილიტაცია/რეკონსტრუქციის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაცია.

7. მხარეთა ვალდებულებები

7.1. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:

- უზრუნველყოს მომსახურების გაწევა წინამდებარე ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;
- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
- მოქმედი ნორმებისა და წესების სრული დაცვით უზრუნველყოს მომსახურების გაწევა და მისი დამთავრება დადგენილ ვადებში.
- მომსახურების შესრულების პროცესში შეტყობინების მიღებისთანავე აღმოფხვრას უხარისხოდ შესრულებული სამუშაო შემსყიდველს მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე.

7.2. „შემსყიდველი“ ვალდებულია:

- დროულად და კეთილსინდისიერად შეასრულოს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.
- ხელშეკრულების მიმდინარეობისას აცნობოს მიმწოდებელს ყველა განსაკუთრებული გარემოებების წარმოშობის შესახებ.
- უზრუნველყოს „მიმწოდებლის“ ადექვატური და დროული დაფინანსება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან არაუგვიანეს 10 კალენდარული დღისა.
- დროულად განიხილოს „მიმწოდებლის“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც დაკავშირებულია ხელშეკრულების შესრულებასთან.
- მიაწოდოს სრული და დროული ინფორმაცია პროექტირებისათვის.
- „შემსყიდველი“ ვალდებულია გაითვალისწინოს ხელშეკრულებით დადგენილი საპროექტო ფართები და ადეკვატურად მოითხოვოს "მიმწოდებლისგან" საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა დაწესებულების პაციენტების, თანამშრომლებისა და განყოფილებების რაოდენობის შესაბამისად.

8. მხარეთა უფლება

8.1. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:

- ხელშეკრულების ფარგლებში მოითხოვოს დროული და სრული დაფინანსება წარმოდგენილი ანგარიშის მიხედვით.

8.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:

- აწარმოოს გაწეული სამუშაოს ხარისხის კონტროლი;
- აწარმოოს შესრულებულ სამუშაოთა ფინანსური და ორგანიზაციული მონიტორინგი როგორც გეგმური, ასევე მიმდინარე;
- განახორციელოს შესრულებული სამუშაოების ზედამხედველობა და შეამოწმოს მათი შესაბამისობა საქართველოში მოქმედი მშენებლობის ნორმებისა და წესებში გათვალისწინებული ხარისხის კრიტერიუმების, ტექნიკური სპეციფიკაციების, საქართველოში მოქმედი სტანდარტების გათვალისწინებით.

9. გარანტია

9.1 მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ შესრულებული სამუშაო შეესაბამება ქვეყანაში მოქმედ და აღიარებულ საერთაშორისო სტანდარტებს. მიმწოდებელი ვალდებულია სამუშაო განახორციელოს მაღალკვალიფიციურ დონეზე, ეთიკური და პროფესიული ნორმების დაცვით;

9.2. მიმწოდებელი ვალდებულია ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში შემსყიდველის მითითების შესაბამისდ უზრუნველყოს მის მიერ წარმოდგენილ სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციაში შეიტანოს შესაბამისი ცვლილება, შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი დანახარჯების გაწევის გარეშე. თუ ეს ცვლილება არ ეწინააღმდეგება მოქმედ სამშენებლო ნორმებსა და სტანდარტებს.

9.3. იმ შემთხვევაში თუ მიმწოდებელი არ შეასრულებს მასზე დაკისრებულ ვალდებულებებს იმ მოცულობით, რომელიც მოცემულია სამუშაოთა ჩამონათვალში, შემსყიდველი უფლებამოსილია შეწყვიტოს ხელშეკრულება.

10. ფორს-მაჟორი

10.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.

10.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდა ერთ თვის ვადით, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.

10.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

11. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა

11.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება, ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

11.2 თუ რაიმე წინასწარ გათვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

11.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

11.4 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკებების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

12.2. თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან 10 (ათი) დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხის შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგენილი წესის მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს, თუ ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

13. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

13.1. თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშემშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. შეტყობინების მიმღებმა მხარემ ათი დღის ვადაში უნდა აცნობოს მეორე მხარეს თავისი გადაწყვეტილება, აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით. იმ შემთხვევაში, თუ ხელშეკრულების პირობების შესრულების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების პირობების შესრულების ვადის გაგრძელების თაობაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის გზით.

14. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

14.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ გადაცილებულ დღეზე გაანგარიშებით, ხელშეკრულების მთლიანი ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

14.2. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

14.3. იმ შემთხვევაში, თუ ვადების გადაცდენისთვის დაკისრებული პირგასამტეხლო ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 2%-ს შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

15. ინსპექტირების პირობები

15.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე;

15.2. ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგს/კონტროლს განახორციელებს შემსყიდველის მიერ შექმნილი ინსპექტირების ჯგუფი. ასევე შემსყიდველი უფლებამოსილია მოიწვიოს დამოუკიდებელი ექსპერტები;

15.3. შემსყიდველს უფლება აქვს მოითხოვოს მიმწოდებლისაგან ხელშეკრულების შესრულების შესახებ ნებისმიერი ინფორმაცია, რომლის წარმოდგენის ვადების დარღვევა შეიძლება გახდეს შემსყიდველის მხრიდან მიმწოდებელზე საჯარიმო სანქციების ამოქმედების საფუძველი, ხოლო მსგავსი დარღვევების განმეორების შემთხვევაში შემსყიდველს შეუძლია შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

15.4. შემსყიდველის მიერ გაწეული მომსახურების კონტროლი განხორციელდება მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისათვის წარმოდგენილი დოკუმენტაციის, ასევე შემსყიდველის მიერ დამატებით მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე;

15.5. ინსპექტირების ჯგუფის მიერ გამოვლენილი ხარვეზები მიმწოდებელმა უნდა აღმოხვრას საკუთარი ხარჯებით გონივრულ ვადაში, წინააღმდეგ შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოითხოვოს მიყენებული ზარალის ანაზღაურება.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

16.1. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ.

16.2. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2012 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

17. ხელშეკრულების შეწყვეტა

17.1. ხელშეკრულება წყდება ხელშეკრულების ვადის გასვლით, ხელშეკრულების პირობების შესრულებით ან მხარეთა შეთანხმებით.

17.2. ხელშეკრულება შეიძლება ცალმხრივად შეწყდეს ასევე, ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ცალკეულ შემთხვევებში.

18. დასკვნითი პირობები

18.1. ხელშეკრულებას თან ახლავს ხელშეკრულების დანართი №1 და დანართი №2, რომლებიც წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს

18.2. ხელშეკრულება და დანართები შედგენილია 3 ეგზემპლიარად, რომელთაც გააჩნიათ თანაბარი იურიდიული ძალა. ხელშეკრულების ორი ეგზემპლარი ინახება შემსყიდველთან, ერთი მიმწოდებელთან.

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	შპს „ირაო არტ”
საიდენტიფიკაციო კოდი: №211333957	საიდენტიფიკაციო კოდი №204536010
ქ. თბილისი, 0119, წერეთლის გამზ. №144	თბილისი, სანაპიროს №4
სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 (220101222) ა/ა 200122900	სს „ბანკი რესპუბლიკა” ბანკის კოდი №220101757 ანგ. №10228891515
ირაკლი გიორგობიანი მინისტრის პირველი მოადგილე	შალვა რიტიშვილი დირექტორი

სამუშაოების ჩამონათვალი

კვლევითი ნაწილი

1. საექსპერტო დასკვნა შენობების მდგრადობასთან დაკავშირებით
2. ტოპოგრაფიული აზომვითი სამუშაოები
3. შენობების აზომვა
4. საინჟინრო-გეოლოგიური კვლევა, საძირკვლების შესწავლით

საპროექტო ნაწილი

5. შენობის ინტერიერის რეკონსტრუქციის პროექტი
6. ფასადების რეკონსტრუქციის პროექტი
7. ახალი შენობის არქიტექტურული პროექტი
8. ტერიტორიის შემოღობვის პროექტი
9. მუშა პროექტი
10. არსებულ სარეკონსტრუქციო შენობებში გამაგრების კონსტრუქციული პროექტი (საჭიროების შემთხვევაში)
11. ახალი შენობის კონსტრუქციული პროექტი (ქ. სენაკში)
12. დ/ძ შიდა ქსელი
13. ელ.მაგისტრალური ქსელი
14. ელ.ძალოვანი ქსელი
15. ვენტილაციის, კონდიცირების და გათბობის ქსელის მიბმა ელექტროობაზე
16. სატელეფონო და კომპიუტერული ქსელები
17. სახანძრო სიგნალიზაციის ქსელი
18. სპეციფიკა-განფასება
19. გათბობის პროექტი ცენტრალური საქვაბით
20. კონდიცირება სპლიტებით
21. წყალმომარაგება-კანალიზაციის პროექტი
22. ტერიტორიის კეთილმოწყობის პროექტი (ვერტიკალური გეგმარების და სანიაღვრე სისტემის გარეშე) გამწვანების, განათების, ავტოპარკინგის და მისასვლელი გზების სქემის ასახვით გენგეგმაზე.
23. მშენებლობის ორგანიზაციის პროექტი კალენდარული გრაფიკით (ქ. სენაკში)
24. საორიენტაციო ხარჯთაღრიცხვა

საავტორო ზედამხედველობა

25. საავტორო ზედამხედველობა მშენებლობის პროცესის განმავლობაში და მოსაპირკეთებელი მასალების შერჩევა.

„შემსყიდველი“

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

საიდენტიფიკაციო კოდი: №211333957

ირაკლი გიორგობიანი

მინისტრის პირველი მოადგილე

„მიმწოდებელი“

შპს „ირაო არტ“

საიდენტიფიკაციო კოდი №204536010

შალვა ჩიტიშვილი

დირექტორი

ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრების ინფრასტრუქტურის მოთხოვნები და რეკომენდაციები

დაწესებულების ელექტრო მომარაგების სქემა უნდა ითვალისწინებდეს გენერატორით სათადარიგო ელექტრომომარაგებას.

დაწესებულებას უნდა გააჩნდეს სანიტარული ცხელი და ცივი წყალმომარაგების სისტემა.

დაწესებულება უზრუნველყოფილი უნდა იყოს სტაბილური მიკროკლიმატის დასაცავი საშუალებებით (ცენტრალური გათბობა, ცენტრალური ვენტილაცია).

ვენტილაცია მოეწყოს საპირფარეშოებში, სამზარეულოებში და ვენტილაციის საჭიროების მქონედ მიჩნეულ სათავსებში.

პროექტით გათვალისწინებული უნდა იყოს სახანძრო მოთხოვნების შესაბამისი საევაკუაციო გასასვლელი.

ობიექტებს უნდა გააჩნდეს კედელში დაფარული ხანძრის სალიკვიდაციო ადგილობრივი ბლოკი.

რაიონებში განთავსებული დაწესებულებებისათვის გათვალისწინებული უნდა იყოს შესაბამისი წარმადობის სამზარეულო საამქრო ფართი - 20-25კვ.მ.

ადმინისტრაციული სტრუქტურისათვის კაბინეტები გათვალისწინებული იქნას მათი სტრუქტურული საშტატო განრიგის შესაბამისად.

დაწესებულებას უნდა გააჩნდეს საკონფერენციო დარბაზი დილის კონფერენციების, ტრენინგების ჩასატარებლად, ასევე სტუმრების და დელეგაციების მისაღებად 45-50კვ.მ.

დაწესებულებას უნდა გააჩნდეს ფუნქციონირებადი ლიფტი (მ.შ. მწოლიარე ავადმყოფებისათვის) - პალატების, პაციენტთა გამოკვლევისა და სამკურნალო განყოფილებების ორზე მეტ სართულზე განლაგების შემთხვევაში, პირობები შეზღუდული შესაძლებლობის მწონე პირთა უსაფრთხო გადაადგილებისათვის.

მოთხოვნები და რეკომენდაციები ამბულატორიული მეთვალყურეობისა და კრიზისული ინტერვენციის ცენტრის მიმართ

ამბულატორიული მომსახურების სერვისების განსახორციელებლად აუცილებელია შემდეგი: მოსაცდელი - 25კვ.მ., რეგისტრაციის ოთახი მიმღები კუთხით - 10-15 კვ.მ. და არქივით 20 კვ.მ. (არქივის ოთახი უნდა იყოს შედარებით მოზრდილი), ოთახები - ექიმ-ფსიქიატრების - 10კვ.მ., ფსიქოლოგის - 10კვ.მ., ნევროპათოლოგის - 10კვ.მ., სოც. მუშაკების - 10კვ.მ., ლოგოპედისა - 10კვ.მ. და თერაპევტისთვის - 10კვ.მ.; დაცული ტიპის აფთიაქი - 8-10კვ.მ., მედიკამენტების სათავსოთი - 10-12კვ.მ. (ავტორიზებული აფთიაქის არსებობის შემთხვევაში), საინექციო ოთახი - 8-10კვ.მ.; მცირე ოთახი ლაბორატორიისათვის - 13-17კვ.მ.; შედარებით მოზრდილი ოთახი თერაპიული სეანსების ჩასატარებლად - 25-30კვ.მ.; დაწესებულებას უნდა გააჩნდეს ცალკე საპირფარეშოები პერსონალისა და პაციენტებისათვის - 3-5კვ.მ., დაწესებულებაში დამონტაჟებული კარები უნდა იყოს მყარი მასალის. მხოლოდ პალატების კარებს უნდა ჰქონდეთ ექთნისთვის სამეთვალყურეო ფანჯარა არამსხვრევადი მინით.

კრიზისული ინტერვენციის ცენტრის სერვისის უზრუნველყოფისათვის აუცილებელია საშუალო ხარისხის უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვა, კერძოდ:

- ფანჯრებზე არამსხვრევადი მინებია (მაგრამ თავისუფალია გისოსებისგან);

- აქვს ცალკე შესასვლელი და რეგისტრატურა - 10-15კვ.მ.;
- გააჩნია პერსონალისათვის სათადარიგო გასასვლელის მქონე საპროცედურო ოთახი და კარებები ცალ მხარეს საკეტებით - 10-13კვ.მ.;
- გააჩნია დაცული სათავსო სასურველია საპროცედუროსთან ახლოს, მედიკამენტების შენახვა-გაცემისათვის და აღრიცხვიანობისათვის - 5-8კვ.მ.
- გუნდური ინტერვენციის განსახორციელებლად საჭიროა მოზრდილი ოთახი - 15-20კვ.მ.;
- ცალკე ფართი პაციენტთათვის (ასევე, ცალ მხარეს საკეტის მქონე კარებით), სადაც არის:
    - დღის სტაციონარი, რომელიც მაქსიმუმ 3-4 საწოლზეა გათვლილი ერთ- ან ორსაწოლიანი პალატები - 8-16კვ.მ., საპირფარეშოებით - 2კვ.მ და პალატების წინ განთავსებული მუდმივი მეთვალყურეობის ექთნის პოსტი.
    - პაციენტთათვის თავისუფალი ფართი - 20-25 კვ.მ. (უშუალოდ პალატების მიმდებარე ტერიტორიაზე, დერეფანში ან ფოიეში, სასადილო ტერიტორია).
    - პალატები აღჭურვილია საჭირო სათავსოების მქონე ფიქსირებული ავეჯით. ხელმისაწვდომი არ არის ისეთი ნივთები, რომელიც პაციენტმა შეიძლება გამოიყენოს საკუთარი თავის ან სხვების დასაზიანებლად.
    - საპირფარეშო პაციენტებისათვის. - საშხაპე - 5კვ.მ.
- დამოუკიდებელი ოთახები გუნდის ხელმძღვანელი - 15კვ.მ.(1), ექიმ-ფსიქოთერაპევტების - 10კვ.მ(2), ფსიქოლოგებისათვის - 10კვ.მ (1);
- ოთახი საშუალო მედპერსონალისათვის - 10-15კვ.მ.(1);
- საპირფარეშო თანამშრომლებისათვის 2-3კვ.მ.

მოთხოვნები და რეკომენდაციები თავშესაფრის ტიპის დაწესებულებების მიმართ

ფართობი პაციენტის ოთახში (პალატაში) ერთ პაციენტზე არ უნდა იყოს 8 მ²–ზე ნაკლები, ხოლო საწოლებს შორის დაშორება – მინიმუმ 1,2 მ. დაუშვებელია ერთმანეთში გამავალი პალატების არსებობა.

დაწესებულების ფართობი ერთ სტაციონარულ საწოლზე უნდა იყოს არანაკლებ 40 კვ. მ. შიდა პერიმეტრზე გააგნარიშებით.

დერეფნის სიგანე უნდა შეადგენდეს არანაკლებ 1,8 მ. პაციენტთა ეტლით გადაადგილების უზრუნველსაყოფად.

დაწესებულებას უნდა გააჩნდეს ინფრასტრუქტურა და საშუალებები პერსონალისა და პაციენტის პირადი ჰიგიენის დაცვის, შენობის დასუფთავების და დეზინფექციისათვის (წყალმომარაგება, საპირფარეშოები, პასუხობდეს ჰიგიენურ ნორმებს და ჰქონდეს ადვილად მოსავლელი ზედაპირები).

საპირფარეშოები უნდა პასუხობდეს ჰიგიენურ ნორმებს (გათვალისწინებული უნდა იყოს მეტლახ-კაფელი) და სანიტარული ხელსაწყოები უნდა დაკომპლექტდეს არა ადვილად მსხვრევადი ფურნიტურით.

პალატებში (საპირფარეშოებში) ელექტროჩამრთველებთან მიყვანილი იქნას ელექტრო კაბელის ერთი წვერი უსაფრთხოების მიზნით, დამონტაჟდეს ჩამკეტი როზეტები.

პალატების განიავება ხდებოდეს ფანჯრების მეშვეობით, რომელთა გაღება-დახურვის საშუალება ექნება მხოლოდ მედპერსონალს (საკეტი მოწყობილობები პაციენტისთვის მაქსიმალურად დაცული

უნდა იყოს ინდივიდუალური გაღების შესაძლებლობისგან). აუცილებელია გაკეთდეს ფანჯრებზე შეზღუდვა იმ დონეზე, რომ ბოლომდე ვერ შეძლოს პაციენტმა დამოუკიდებლად ფანჯრის გაღება.

პაციენტთა სტაბილურ სამყოფელებში არსებულ ფანჯრებში გათვალისწინებული უნდა იყოს არამსხვრევადი (არატრავმირებადი) მინები.

განყოფილების პალატებს არ უნდა ჰქონდეთ გისოსები ფანჯრებზე.

პალატის კარებები უნდა იღებოდეს გარეთ, დერეფნისკენ, საევაკუაციო გზისკენ, არ უნდა იკეტებოდეს შიგნიდან.

კედლები უნდა იყოს მყარი მასალისგან აშენებული.

განყოფილების კედლები (ჭერი, იატაკი), რომელიც ესაზღვრება სხვა დანარჩენ განყოფილებებს უნდა იყოს აღჭურვილი ხმაგაუმტარი საშუალებებით.

პაციენტთა ოთახებს უნდა ჰქონდეთ ბუნებრივი განათება.

პაციენტის საწოლი ოთახი გათვალისწინებული უნდა იყოს ერთ ან ორ პაციენტზე. პაციენტთა საწოლი ოთახები არ უნდა იყოს ერთმანეთში გამავალი.

დაწესებულებას უნდა გააჩნდეს პაციენტების რაოდენობის შესაბამისი საკმარისი ფართობის მქონე ოთახი ან ოთახები დღიური აქტივობებისათვის (2) – 30კვ.მ..

დაწესებულების სასადილო ოთახი უნდა იყოს ისეთი ფართის, რომ შესაძლებელი იყოს პაციენტის მინიმუმ 1/3-ის განთავსება ერთდროულად - 35-40კვ.მ.

დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ოთახები პერსონალისათვის, საპროცედურო - 10-15 კვ.მ. (რომელსაც გააჩნია პერსონალისათვის სათადარიგო გასასვლელი), ექიმი-ფსიქიატრის კაბინეტები - 10 კვ.მ. (მინიმუმ 2), საშუალო მედ-პერსონალის ოთახი 10-15კვ.მ. (მინიმუმ 1), საკუჭნაო - 10-15 კვ.მ. (პაციენტებისათვის ტანსაცმლისა და სხვა პირადი ნივთების სამრეცხაო/საშრობი).

დაწესებულებას უნდა გააჩნდეს დაცული სათავსო (უფანჯრო) საპროცედუროსთან ახლოს მედიკამენტების შენახვა–გაცემისათვის და აღრიცხვიანობისათვის - 10-15კვ.მ.

დაწესებულებასთან გათვალისწინებული უნდა იყოს პაციენტების რაოდენობის შესაბამისი ფართის მქონე შემოსაზღვრული სასეირნო/მოსასვენებელი გარე ტერიტორია, პაციენტთა გარე აქტივობების შესაძლებლობისათვის და ასევე პაციენტთა პირადი ნივთების გაშრობისთვის.

დაწესებულებაში უნდა იყოს შესაძლებელი ურიკების/საკაცის გადაადგილება და განთავსება.

დაწესებულებაში როგორც პერსონალისთვის, ასევე პაციენტებისათვის ხელმისაწვდომი უნდა იყოს საკომუნიკაციო საშუალებები.

მინიმუმ ყოველ 4 პაციენტზე უნდა მოდიოდეს მათი ოთახების მომიჯნავედ მდებარე აბაზანა/ტუალეტი 3-5კვ.მ, რომლის ფართობი უნდა იძლეოდეს დამხმარესა და ურიკის მიდგომის შესაძლებლობას. აუცილებელია სულ მცირე 1 სააბაზანო და არა საშხაპე.

დაწესებულებას უნდა გააჩნდეს პერსონალის აბაზანა/ტუალეტი - 3-5კვ.მ..

დაწესებულებაში უნდა იყოს განსაზღვრული ადგილი მნახველებისათვის (2) – 9-10 კვ.მ. (პაციენტების მნახველებთან განმარტოების ოთახი ე.წ ვიზიტორების ოთახი).

დაწესებულებას უნდა ჰქონდეს ფართი ადმინისტრაციის განთავსებისთვის:

- დირექტორი - 15-20კვ.მ.;
- მოადგილე - 13-15კვ.მ.;
- კანცელარია - 10-12კვ.მ.;
- სალარო - 8-10კვ.მ.;

- ბუღალტერი, იურისტი, კადრები - 15-20კვ.მ..

დაწესებულებას უნდა ჰქონდეს საკმარისი ფართობის მქონე საერთო დანიშნულების საწყობი სხვადასხვა საგნებისათვის (თეთრეული, პაციენტების ტანსაცმელი) (სასურველია ყველა პაციენტს ჰქონდეს პერსონალური კარადა პირადი ნივთებისათვის) 10-15კვ.მ..

დაწესებულების სასადილოში გათვალისწინებული უნდა იყოს პაციენტთა პირადი საჭიროებისათვის გამოყენებადი, აღჭურვილი სამზარეულო კუთხე.

დაწესებულებას უნდა გააჩნდეს ხანძრის სალიკვიდაციო ადგილობრივი ბლოკი.

დაწესებულებას უნდა გააჩნდეს სიგარეტის მოსაწევი ოთახი - 15-20კვ.მ. მძლავრი გამწოვით.

პაციენტები უნდა იმყოფებოდნენ ოჯახის პირობებთან მიახლოებულ გარემოში.

მოთხოვნები და რეკომენდაციები ფსიქო–სოციალური
რეაბილიტაციის განყოფილებისათვის

1. ღია ვერბალური (ჯგუფური) თერაპიის 2 კაბინეტი, თითო 25 მ².
   საჭიროა 2 დაფა. 28 სკამი, 14 ინდივიდუალური მაგიდა. 1 ტელევიზორი. 1 DVD.
2. არტთერაპიის 1 კაბინეტი - 25 მ². ონკანით, რომ მუშაობის შემდეგ ხელების დაბანა იყოს შესაძლებელი, ასევე გამოყენებული მასალის – ფინჯები, დაფები და ა.შ. გაირეცხოს.
   საჭიროა მინიმუმ 6 ორკაციანი მაგიდა. დაფა–1, სკამი – 14, პლასტიკატის ინდივიდუალური დაფა – 14. ქვიშის და თიხის რეზერვუარი. მასალების შესანახი კარადები, ნამუშევრების დასალაბებლად თაროები.
3. ერგოთერაპიის კაბინეტი – 2 ოთახი. თითო – 25 კვ.მ.
   ხელსაქმე ხეზე მუშაობა, თექის დამზადება და ა.შ.
4. დამოუკიდებელი ცხოვრების უნარების ფარგლებში საჭმლის მომომზადების შესწავლისათვის სამზარეულოს ოთახი.
5. კომპიუტერის შესასწავლი 1 ოთახი – 15კვ.მ.
   მაგიდა – 3, სკამი – 6, კომპიუტერი – 3, პრინტერი – 1.
6. მინი 1 მაღაზია – 6კვ.მ.
7. საპირფარეშო როგორც პაციენტებისათვის ასევე მედპერსონალისთვის.

ბავშვებისათვის მიზანშეწონილია ცალკე კაბინეტების მოწყობა
(სასურველია ბავშვთა კაბინეტებისათვის იყოს იზოლირებული შესასვლელი)

1. ღია ვერბალური თერაპიისათვის 1 ოთახი – 25 კვ.მ.
   მაგიდები, სკამები, დაფა, სათამაშოები და ა.შ.
2. არტთერაპიის 1 ოთახი –20 კვ.მ. ონკანით.
   მაგიდები, სკამები, დაფა, პლასტიკატის დაფები, ქვიშის ყუთები, თაროები, კარადები და ა.შ.
3. თამაშთერაპიის 2 ოთახი – 15 კვ.მ.
4. საპირფარეშო როგორც პაციენტებისათვის ასევე მედპერსონალისთვის.

ნარკოლოგიის დეპარტამენტის სამედიცინო ტექნიკური დავალება
(მხოლოდ თელავში)

დეპარტამენტს უნდა ჰქონდეს იზოლირებული შესასვლელი რკინის კარით.
მეთადონით ჩანაცვლებითი თერაპიის განყოფილება:

1. მოსაცდელი – 25კვ.მ.;
2. მედიკამენტის გასაცემი (სასურველია უფანჯრო ოთახი) - 15 კვ.მ.;
3. სამარაგო (150/ნ ბრძანების შესაბამისად) – 4 კვ.მ.;
4. საორდინატორო – 25-30 კვ.მ.;
5. უფროსი ექთანი – 10-15 კვ.მ.;
6. ფსიქოთერაპიის ოთახი -15-20 კვ.მ.;
7. სოცმუშაკის ოთახი - 10-15 კვ.მ.;
8. განყოფილების გამგე - 15 კვ.მ.;
9. შარდის ანალიზების ასაღები ოთახი - 10 კვ.მ. _ 2 სველი წერტილი;
10. პერსონალის ტუალეტი - 6 კვ.მ. – 2 სველი წერტილი

სულ, მჩთ – 150კვ.მ.,

დამატებით

1. ადმინისტრაცია _ 4 კაბინეტი 15 კვ.მ, მოსაცდელი;
2. აფთიაქი
3. საწყობი _ 20 კვ.მ.
4. ლაბორატორია – 15 კვ.მ.;

სპეციფიური მოთხოვნები იგივეა რაც ფსიქიატრიაში.

<u>სამუშაოების გეგმა-გრაფიკი</u>

I ეტაპი

- **კვლევითი სამუშაოები:**
- ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოთა შესრულების I ეტაპის დასრულების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების დადებიდან 15 კალენდარული დღის განმავლობაში.
- სამუშაოთა მიღება ხდება მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
- I ეტაპის ღირებულება შეადგენს 35000 (ოცდათხუთმეტი ათასი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.
- ანაზღაურება ხდება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

II ეტაპი

- **საპროექტო ნაწილი (დანართი №1-ში 5,6,7,8 პუნქტები):**
- ხელშეკრულების II ეტაპის დასრულების ვადაა I ეტაპის დასრულებიდან 20 კალენდარული დღე.
- სამუშაოთა მიღება ხდება მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
- II ეტაპის ღირებულება შეადგენს 60000 (სამოცი ათასი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.
- ანაზღაურება ხდება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

III ეტაპი

- **საპროექტო ნაწილი (დანართი №1-ში 9დან 22 პუნქტის ჩათვლით):**
- ხელშეკრულების III ეტაპის დასრულების ვადაა II ეტაპის დასრულებიდან 50 კალენდარული დღე.
- სამუშაოთა მიღება ხდება მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
- III ეტაპის ღირებულება შეადგენს 38000 (ოცდათვრამეტი ათასი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.
- ანაზღაურება ხდება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

IV ეტაპი

- **საპროექტო ნაწილი (დანართი №1-ში 23 და 24 პუნქტი):**
- ხელშეკრულების IV ეტაპის დასრულების ვადაა III ეტაპის დასრულებიდან 15 კალენდარული დღე.
- სამუშაოთა მიღება ხდება მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
- IV ეტაპის ღირებულება შეადგენს 18000 (თვრამეტი ათასი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით
- ანაზღაურება ხდება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

V ეტაპი

- **საავტორო ზედამხედველობა (დანართი №1-ში 25 პუნქტი):**
- ხელშეკრულების V ეტაპით გათვალისწინებული სამუშაოების შესრულების ვადა განისაზღვრება სამშენებლო სამუშაოების გეგმა-გრაფიკის შესაბამისად.
- სამუშაოთა მიღება ხდება მხარეთა მიერ მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
- V ეტაპის ღირებულება შეადგენს 18000 (თვრამეტი ათასი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით.
- ანაზღაურება ხდება მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმოწერიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

„შემსყიდველი“

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო

საიდენტიფიკაციო კოდი: №211333957

ირაკლი გიორგობიანი

მინისტრის პირველი მოადგილე

„მიმწოდებელი“

შპს „ირაო არტ“

საიდენტიფიკაციო კოდი №204536010

ირაკლი ჩიტაშვილი

დირექტორი